



საჯარო სამართლის იურიდიული პირი  
სოციალური მომსახურების სააგენტო

**ბ რ ძ ა ნ ე ბ ა**



KA030429691833116

04-520/ო

12 / ოქტომბერი / 2016 წ.

„მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს რეგიონული საბჭოების ტიპიური დებულებისა და შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორის 2013 წლის 23 სექტემბრის N04-404/ო ბრძანებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 12 სექტემბრის N437 დადგენილების, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 27 ივნისის №190/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სოციალური მომსახურების სააგენტოს დებულების“ მე-4 მუხლის, საფუძველზე,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:**

1. „მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს რეგიონული საბჭოების ტიპიური დებულებისა და შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორის 2013 წლის 23 სექტემბრის N04-404/ო ბრძანების (შემდგომში – ბრძანება) პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით დამტკიცებული მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს რეგიონული საბჭოების ტიპიურ დებულებაში (დანართი N1) (შემდგომში – დებულება) შევიდეს ცვლილებები:

ა) დებულების მე-3 მუხლის პირველ პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „გ“ ქვეპუნქტი:

„გ) ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) ფარგლებში დაკისრებული ფუნქციების განხორციელებაში ხელშეწყობა.“.

ბ) დებულების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) მეურვეობა/მზრუნველობის, ძალადობისა და სოციალურ საკითხებთან დაკავშირებული შემთხვევების განხილვა.“.

გ) დებულების მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) ძალადობის შემთხვევის განხილვა, შესაბამისი რეკომენდაციის გაცემა ან გადაწყვეტილების მიღება; ოჯახის ან ბავშვის სხვადასხვა სერვისებში ჩართვა, შემთხვევის გადასინჯვის (განახლება, გაგრძელება, შეწყვეტა ან დახურვა) თაობაზე გადაწყვეტილების მიღება;“.

დ) დებულების მე-6 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საბჭო უფლებამოსილია, განიხილოს მხოლოდ მის სამოქმედო ტერიტორიაზე არსებული

ტერიტორიული ერთეულის ან სააგენტოს დირექტორის 2016 წლის 16 მარტის N04-113/ო ბრძანების მე-2 პუნქტით განსაზღვრული უფროსი სოციალური მუშაკის მომართვები.“.

ე) დებულების მე-7 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის „1<sup>1</sup>“ პუნქტი :

„1<sup>1</sup> იმ შემთხვევაში, თუ რიგგარეშე სხდომა მოწვეულია ძალადობის შემთხვევის განხილვის მიზნით, საბჭო უფლებამოსილია, თუ მას ესწრება საბჭოს წევრთა შემადგენლობიდან არანაკლებ 3 წევრი. ამ შემთხვევაში, გადაწყვეტილება მიიღება დამსწრეთა უმრავლესობით.“.

ვ) დებულების მე-10 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. იმ შემთხვევებში, თუ საკითხის გადაწყვეტისადმი არსებობს დაინტერესებული პირის გადაუდებელი ინტერესი და დაყოვნებამ შეიძლება ზიანი მოუტანოს ამ ან სხვა პირის ჯანმრთელობას, სიცოცხლეს, ან არსებითად შეზღუდოს მისი ან სხვა პირის კანონიერი უფლებები ან/და ინტერესები, საბჭოს თავმჯდომარე უფლებამოსილია, სააგენტოს ტერიტორიული ერთეულის მომართვის და სოციალური მუშაკის დასკვნის გათვალისწინებით, ასევე სააგენტოს დირექტორის 2016 წლის 16 მარტის N04-113/ო ბრძანების მე-2 პუნქტით განსაზღვრული უფროსი სოციალური მუშაკის მომართვის საფუძველზე, განიხილოს და გადაწყვიტოს საბჭოს კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხი და საბჭოს უახლოეს სხდომაზე შეატყობინოს აღნიშნული გადაწყვეტილების თაობაზე საბჭოს წევრებს.“.

ზ) დებულების მე-10 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის „1<sup>1</sup>“ პუნქტი:

„1<sup>1</sup> ძალადობის შემთხვევებზე მიღებული გადაწყვეტილება (რიგგარეშე ან ერთპიროვნული), რომელიც უკავშირდება ბავშვის განთავსებას 24 საათიან ზრუნვის ფორმაში, უნდა გამოიცეს 1 თვის ვადით და გატანილ იქნეს მომდევნო ძირითად სხდომაზე, რომელიც იმსჯელებს ბავშვის გრძელვადიანი მზრუნველობის ფორმაში განთავსების თაობაზე.“.

2.სააგენტოს ადმინისტრაციულმა დეპარტამენტმა (გ.გოგოლაძე) უზრუნველყოს, დოკუმენტრუნვის ელექტრონული სისტემის მეშვეობით, წინამდებარე ბრძანების დაგზავნა სააგენტოს ყველა სტრუქტურული და ტერიტორიული ერთეულისათვის.

3.ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორი, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე



ზაზა სოფრომაძე